საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,გეჯეთი'' ახორციელებს მისი ძირითადი საქმიანობის სასათბურე მეურნეობის გათბობის მიზნით ნამუშევარი ზეთების ენერგიის წყაროდ (სითბო) აღდგენას და აღნიშნული სახიფათო ნარჩენის, რომლის რაოდენობა აღემატება 10 ტონას, ობიექტზე დროებით განთავსებას. ობიექტი მდებარეობს სენაკის რაიონ სოფ. გეჯეთში.

კომპანიამ, ნამუშევარი ზეთების გათბობის საშუალებად გამოყენება (ნარჩენების აღდგენა) დაიწყო 2015 წლის პირველ ივნისამდე. ამიტომ, ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლისა და ,,ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის №2-827 ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად ექვემდებარება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადებასა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებას.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს, რომელიც კანონით დადგენილი სხვა საკითხების გარდა, ასევე მოიცავს მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების/შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკს და ტექნოლოგიური ციკლის სრულ სქემას.

დანართი - ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში, 1 ეგზ.

ანგარიშის ელექტრონული ვერსია და Shape ფაილები CD დისკზე;

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

პატივისცემით

ედიშერ სანიკიძე

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7951
"31" 05 2019
03